ხელშეკრულება ინტერნეტ მომსახურების შესახებ N 143
(VIP პაკეტი)

თბილისი **02/12/2016**

შპს „სტუდია ვებჯორჯია“, შემდგომში „შემსრულებელი“, რომლის სახელითაც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტში მითითებული პირი, ერთის მხრივ, და წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტ მითითებული პირი, შემდგომში „დამკვეთი“ (რიგ შემთხვევაში მოხსენიებული იქნება, როგორც პარტნიორი), მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანი სამენოვან საიტზე webgeorgia.ge დამკვეთს VIP პაკეტით სარგებლობის საშუალებას აძლევს, რომელიც შემდეგს მოიცავს:

1.1. დამკვეთის (პარტნიორის) ლოგო და მონაცემები (დასახელება, მისამართი, ტელეფონები, ვებ და ფეისბუკის გვერდის ლინკები, ელ-ფოსტა, ზუსტი ადგილმდებარეობის ამსახველი რუკა), და ორგანიზაციის ფილიალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) webgeorgia.ge-ს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ვერსიებში განთავსდება.

1.2. დამკვეთს სამენოვანი საპრეზენტაციო გვერდის გამოყენების საშუალება ეძლევა, რომელიც webgeorgia.ge-ს სამივე ენის ვერსიაში შეუძლია წარმოაჩინოს.ხელშეკრულების პირველად გაფორმების შემთხვევაში შემსრულებელი დამკვეთის სამენოვანი საპრეზენტაციო გვერდის ქართულ ვერსიას შეუქმნის და მას webgeorgia.ge-ს ქართულ ვერსიაში განათავსებს.

1.3. საპრეზენტაციო გვერდი მოიცავს: ინფორმაციას დამკვეთის (პარტნიორის) საქმიანობის შესახებ, სიახლეების დამატების საშუალებას, საკონტაქტო მონაცემებს და ზუსტი ადგილმდებარეობის ამსახველ რუკას, მაქსიმუმ 20 ფოტო და შეუზღუდავი რაოდენობის ვიდეო მასალას (ვიდეო ფაილები ატვირთული უნდა იყოს youtube.com-ზე

1.4. საპრეზენტაციო გვერდზე წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის მართვა, ინგლისური და რუსული ვერსიების შევსება დამკვეთს (პარტნიორს) თავად შეეძლება, რისთვისაც მას საკუთარი სამართავი პანელი ექნებ

1.5. ყოველი დამატებული სიახლე webgeorgia.ge-ს ქართული ვერსიის მთავარ გვერდზე და შესაბამისი კატეგორიის გვერდის მარჯვენა მხარეს გამოჩნდება.

1.6. საპრეზენტაციო გვერდს საკუთარი მისამართი გააჩნია, რაც მის დამოუკიდებლად გამოყენების საშუალებას იძლევა.

1.7. დამკვეთისთვის (პარტნიორისთვის) როტაციის პრინციპი იმოქმედებს: რამდენიმე წუთში ერთხელ ყველა პარტნიორის ადგილმდებარეობა იცვლება და ჩამონათვალის ბოლოს მდებარე პარტნიორი ჩამონათვალის სათავეში ექცევა, რაც პარტნიორებს შორის ჯანსაღ კონკურენციას ქმნის.

1.8. ახალი და ხელმეორედ რეგისტრირებული პარტნიორი „ახალი პარტნიორების“ სათავეში ექცევა.

2. ხელშეკრულების გაფორმების წესი და მისი ძალაში შესვლა

2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება ატარებს ელექტრონულ ფორმას, რომელსაც „შემსრულებელი“ ელექტრონული ფოსტის საშუალებით უგზავნის „დამკვეთს“.

2.2. ხელშეკრულების გაგზავნისას ელექტრონულად წარმოდგენილია „შემსრულებლის“ რეკვიზიტები, ბეჭდის ანაბეჭდი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ანაბეჭდი.

2.3. „დამკვეთის“ მიერ „შემსრულებლის“ 7.1. პუნქტში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე მითითებული თანხის ჩარიცხვა ადასტურებს მის თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და განაპირობებს მის ძალაში შესვლას.

2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების გაფორმების წესი ატარებს იგივე იურიდიულ ძალას, როგორი მხარეების მიერ ცოცხალი ხელმოწერის შემთხვევაში, და არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების სრულ ან მისი რომელიმე პუნქტის ბათილობას.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულების ვადის დაწყებად მისი გაფორმების თარიღი აითვლება.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 12 თვით განისაზღვრება და იგი ძალაშია **02/12/2017** -მდე

3.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 1 კვირის განმავლობაში შემსრულებელი უფლებას იტოვებ დამკვეთს მოუხსნას VIP პაკეტით მინიჭებული უპირატესობები და მისი მონაცემები „უფასო რეგისტრაციის“ სტატუსში გადაიყვანოს.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დამკვეთის მიერ მის საბანკო ანგარიშზე მითითებული თანხის ჩარიცხვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში webgeorgia.ge-ზე დამკვეთს ხელშეკრულების პირველი

პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იზრუნოს საიტ
გამართულ მუშაობაზე და საჭიროების შემთხვევაში სამუშაო საათებში სატელეფონო კონსულტაცია გაუწიოს.

4.2. დამკვეთი იღებს ვალდებულებას მის საპრეზენტაციო გვერდზე კანონსაწინააღმდეგო ინფორმაცია არ განათავსოს და სიახლეები მხოლოდ მიზნობრივად გამოიყენოს (<u>განმარტება: სიახლე საზოგადოებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას უნდა გულისხმობდეს).</u>

4.3. 4.2. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი აფრთხილებს დამკვეთს, ხოლო ამ პუნქტის განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებას იტოვებს დამკვეთს ინფორმაციის დამოუკიდებლად მართვის ფუნქცია შეუზღუდოს. ამის შემდეგ დამკვეთს საკუთარ საპრეზენტაციო გვერდზე ინფორმაციის გამოცვლა მხოლოდ შემსრულებელის დახმარებით შეეძლება, რისთვისაც ამ უკანასკნელს ელექტრონულ მისამართზე შესაბამისი ინფორმაცია უნდა გაუგზავნოს.

4.4. მხარეები ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან დაუძლეველი ძალის – **ფორს–მაჟორის** (საბრძოლო მოქმედება, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი ან სხვ.) მსვლელობის პერიოდში თავისუფლდებიან.

5. მომსახურების ფასი და ანგარიშსწორების წესი

5.1. VIP პაკეტით სარგებლობის ღირებულება წელიწადში 250 ლარით განისაზღვრება.

3.2. ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით ხორციელდებ

6. დავების გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოხდება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საერთო სასამართლოს მეშვეობით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი

7.1. მხარეთა შეთანხმება;

7.2. ერთერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა;

7.3. თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ვადაზე ადრე, რის შესახებ ხელშეკრულების შემწყვეტმა მხარემ წერილობით, ერთი კვირით ადრე, უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

8. მხარეთა რეკვიზიტები:

8.1. შემსრულებელი

დასახელება:	შპს „სტუდია ვებჯორჯია“	დასახელება:	სსიპ პროფესიული კოლეჯი ''თეთნულდი''
მისამართი:	ქ. თბილისი ვ.ფშაველას N16	მისამართი:	მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ #25
ტელეფონი:	571512121	ტელეფონი:	577 58 24 24
ელ-ფოსტა	info@webgeorgia.ge	ელ-ფოსტა	tetnuldi68@gmail.com
ს/კ	205197320	ს/კ	235891512
ბანკი	თიბისი ბანკი	ბანკი	სახელმწიფო ხაზინა
ანგარიშის N	GE57TB73 02836020100001	ანგარიშის N	GE24NB0330100200165022
დირექტორი	ვახტანგ ჯინჯიხაძე	დირექტორი	თეონა ჯაფარიძე

8.2. დამკვეთი

3.5.6

STUDIO WebGeorgia 205197320 GEORGIA, STUDIO WEBGEORGIA LTD